ოქმი:**ო37. 37232982**

თარიღი:**25/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით დარჩიას

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,24 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
13.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ.ბიგვავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლ.ბიგვავა მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ დ.დარჩია არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, საკრებულოს თავმჯდომარე. მას ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე. დ. დარჩიამ დეტალურად ისაუბრა საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ინიცირებულ საკითხებზე და იმ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ, სოციალურ პროექტებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. აგრეთვე ყურადღება გაამახვილა,საკრებულოს,საკრებულოს ფრაქციისა და კომისიების მიერ,მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეულ საწმიანობაზე. ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს გამოკვეთილ პრიორიტეტულ საკითხებზე გააკეთა აქცენტი.ესენია,საკანონმდებლო საქმიანობის დახვეწა,ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია,სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის ინტერესების დაცვა, განათლების და მეცნიერების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

დავით დარჩიამ ანგარიშის დასრულების შემდეგ უპასუხა დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს, აღნიშნეს, რომ იგი იყო საინტერესო, შეეხებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სფეროს, ხაზი გაუსვეს, რომ დავით დარჩია მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს მნიშვნელოვან საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა.

აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი